ვებ-გვერდზე www.rebank.ge განთავსებულ „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, შეიცვალოს ვებ-გვერდზე - www.rebank.ge - განთავსებული „იურიდიული პირების საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულება“, კერძოდ, დაემატოს **8.²** მუხლი და ქვეპუნქტები და შინაარსი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

8.² **ხელშეკრულების დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით გაფორმება.**

8².1. კლიენტი აცნობიერებს და თანხმდება, რომ ბანკთან გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტი/ხელშეკრულება, მათ შორის სესხის ხელშეკრულებები, შეიძლება გაფორმდეს დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერების მეშვეობით, ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ელექტრონული ხელმოწერის სიგნიფაის (Signify) პლატფორმის ან ბანკის მიერ დამტკიცებული ნებისმიერი სხვა ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმის გამოყენებით გაფორმებულ დოკუმენტებს/ხელშეკრულებებს.

8².2. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკთან ურთიერთობაში ნებისმიერი დოკუმენტი/ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს ელექტრონულად, კლიენტის მიერ ბანკის მონაცემთა ბაზაში სათანადო წესით რეგისტრირებული ელექტრონული ფოსტის გამოყენებით.

8².3. კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ელექტრონული ხელმოწერით გაფორმებულ დოკუმენტებს/ხელშეკრულებებს აქვთ იგივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალური ფორმით და პირადი ხელმოწერით (სველი ხელმოწერით) გაფორმებულ დოკუმენტებს/ხელშეკრულებებს.

8².4. კლიენტი ადასტურებს, რომ დოკუმენტის/ხელშეკრულების დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერების მეშვეობით გაფორმების პროცესში გამოიყენებს მხოლოდ ბანკის მონაცემთა ბაზაში სათანადო წესით რეგისტრირებულ და ავტორიზებულ ელექტრონული ფოსტის მისამართს და საკონტაქტო მონაცემებს. არარეგისტრირებული ან/და არა ავტორიზებული მონაცემების გამოყენების ნებისმიერი მცდელობა ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად და კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს ნებისმიერი ზიანი/ზარალი, რომელიც გამოწვეული იქნება არარეგისტრირებული ან/და არაავტორიზებული ელექტრონული ფოსტის და საკონტაქტო მონაცემების მეშვეობით დოკუმენტის/ხელშეკრულების გაფორმებით ან/და გაფორმების მცდელობით.

8².5. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტმა შეცვალა ან/და დაკარგა წვდომა ელექტრონული ფოსტის მისამართზე და არ შეატყობინა ბანკს აღნიშნულის შესახებ, ბანკის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტი/ხელშეკრულება ჩაითვლება კლიენტის მიერ გაფორმებულად და იურიდიული ძალის მქონედ.

8².6. დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერების მეშვეობით დოკუმენტის/ხელშეკრულების გაფორმებისას კლიენტმა უნდა დაიცვას ბანკის უსაფრთხოებისა და ძლიერი ავთენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესები და გაიაროს შესაბამისი პროცესები.

8².7. ბანკი არ არის პასუხისმგებელი დოკუმენტის/ხელშეკრულების დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით გაფორმებისას ელექტრონული ფოსტის მისამართის, ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე (პლატფორმაზე) უნებართვო წვდომაზე ან/და არასწორი გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერი სახის ზიანზე.

8².8. კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს ნებისმიერი დანაკარგი, ჯარიმა, სანქიცია, ზიანი და ხარჯი (მათ შორის გონივრული ადვოკატის საფასურის ჩათვლით) და დაიცვას ბანკი ნებისმიერი პასუხისმგებლობისგან, სარჩელისგან, პრეტენზიისგან (მათ შორის მესამე პირის პრეტენზიებისგან), რომელიც შეიძლება წარმოიშვას კლიენტის მიერ დოკუმენტის/ხელშეკრულების დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერით

გაფორმებისას არაავტორიზებული და უნებართვო წვდომით, არასწორი გამოყენებით ან/და ავთენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესების დარღვევით.

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული რედაქცია ძალაში შედის გამოქვეყნების თარიღიდან.

გამოქვეყნების თარიღი: 2024 წლის 11 აპრილი.